

ნიკოლოზ შამუგია

Nikoloz Shamugia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რამდენიმე ანტიკური პარალელი ჯოვანი პასკოლის „იალლუნებში“¹

Some Ancient Parallels in Giovanni Pascoli's

Myricae

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10032>

When studying the reception of classical themes in the literature of any given nation, scholars first seek out passages where ancient historical figures, places, or characters from ancient Greek and Roman mythology are explicitly mentioned. In such cases, the link between the modern and the classical texts – whether direct or indirect – is undeniable. Yet it remains essential to consider what deeper significance the writer's invocation of classical material conveys.

Far more intriguing – and more challenging – is uncovering subtler resemblances that surface in a particular poetic image, a narrative detail, or even a single epithet echoing the motifs of classical literature. True, in these instances the author does not name ancient Greek or Roman characters or locales, but the more striking the parallel to classical forms or tropes, the more justified it becomes. Revealing these parallels allows us to read not only the new work with fresh insight but also to rediscover the ancient source itself from a renewed perspective. In this light, Giovanni Pascoli's oeuvre is especially revealing, for Pascoli was, by training and profession, a classicist. He not only taught Greek and Latin grammar and Roman literature at the universities of Bologna, Messina, and Pisa at various times, but also was a prolific translator of classical texts. His first symbolist poetry collection – which he continued to enrich with new poems throughout his life, just as Petrarch kept augmenting his *Book of Songs* – holds a singular place in Italian verse. The poet deliberately chose the Latin word “myricae” rather

¹ კვლევა [PHDF-22-2461] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით / This research [PHDF-22-2461] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

than the Italian “tamerici” (“tamarisks”). Even the title of this collection is inspired by classical literature: Pascoli takes “myricae” from a passage in Virgil’s *Bucolics*.

Sicelides Musae, paulo maiora canamus!
Non omnis arbusta iuvant humilesque myricae.

The poet prefaced not only *Myricae* but also two other collections – *Canti di Castelveccchio* and *Poemi Conviviali* – with this quotation as an epigraph, because in all three volumes his focus falls on small, everyday stories and ordinary people.

In the present article, I discuss two of the poet’s shorter poems, “La cucitrice” and “O reginella”. Although no ancient characters or geographic locales are mentioned in them, the inspiration drawn from classical literature remains unmistakable.

საკვანძო სიტყვები: ჯოვანი პასკოლი, „იალუნები“, საფო, ჰომეროსი

Keywords: Giovanni Pascoli, Myricae, Sappho, Homer

ამა თუ იმ ერის მწერლობაში ანტიკური თემატიკის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პასაჟებს ეძებენ, სადაც ძველბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟები, მაშინდელი პიროვნებები თუ ადგილებია ნახსენები. ასეთ შემთხვევაში კავშირი ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის, უშუალო თუ არაპირდაპირი, უდავოა. თუმცა დაკვირვებას ითხოვს, როგორ დატვირთვას იძენს მწერლის მიერ ანტიკური თემატიკის გამოყენება.

გაცილებით საინტერესოა და რთულიც იმ მსგავსებათა გამოვლენა, ოდენ გარკვეულ მხატვრულ სახეში, სიუჟეტის დეტალში ან თუნდ ერთ ეპითეტში რომ ცნაურდება კლასიკური მწერლობის ნიმუშებთან. მართალია, ასეთ შემთხვევაში მწერალი ძველბერძნულ-რომაულ პერსონაჟებსა თუ ადგილებს არ ახსენებს, მაგრამ მსგავსება ანტიკურ ლიტერატურულ სახესა თუ ტროპულ მეტყველებასთან რაც უფრო

აშკარაა, მით უფრო გამართლებულია. ამგვარ პარალელთა წარმოჩენის შემდეგ უფრო ღრმა დატვირთვითა და ახლებური კუთხით ვკითხულობთ არა მხოლოდ ახალ თხზულებას, არამედ თვით ძველსაც, ანტიკურს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჯოვანი პასკოლის შემოქმედების კვლევა, რადგან პროფესიით პასკოლი კლასიკოსი გახლდათ. იგი სხვადასხვა დროს არა მარტო ძველბერძნულ-ლათინური ენების გრამატიკისა და რომაული მწერლობის პროფესორი იყო ბოლონიის, მესინისა და პიზის უნივერსიტეტებში, არამედ ანტიკურ თხზულებათა მთარგმნელიც. თავის პირველ სიმბოლისტურ პოეტურ კრებულს, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ ავსებდა ლექსებით, ვით პეტრარკა – „სიმღერების წიგნს“, გამორჩეული ადგილი უკავია იტალიურ პოეზიაში. მწერალმა მას სათაურად შეგნებულად შეურჩია ლათინური „myricae“ და არა იტალიური „tamerici“ („იალღუნები“). ამ პოეტური კრებულის სათაურიც კი ანტიკური მწერლობით არის შთაგონებული: პასკოლი „myricae“-ს იღებს ვერგილიუსის „ბუკოლიკების“ ერთი პასაჟიდან:

Sicelides Musae, paulo maiora canamus!
Non omnis arbusta iuvant humilesque myricae.¹

სიცილიელო მუზებო, ახლა ცოტა უფრო დიად
ამბებს ვუმღეროთ!
ყველას როდი მოსწონს ბუჩქნარი და უჩინარი
იალღუნები.²

დამოწმებულ ციტატას პოეტი ეპიგრაფად იმიტომ წაუმძღვარებს არა მარტო „იალღუნებს“, არამედ ორ სხვა პოეტურ კრებულსაც („კასტელვეკიური სიმღერები“, „სანადიმო პოემები“), რომ სამივე კრებულში ყურადღება გამახვილებულია პატარა ამბებსა და რიგით, ჩვეულებრივ ადამიანებზე.

მოვიხმოთ პოეტის ორ ლექსს. მათში ანტიკური პერსონაჟები თუ გეოგრაფიული ადგილები არ არის ნახსენები, მაგრამ ცნაურდება, იგრძნობა შთაგონება კლასიკური მწერლობით.

¹ Verg. B. 4.1-2.

² სტატიაში დამოწმებულ უცხოურ ციტატათა თარგმანი ყველა შემთხვევაში შესრულებულია დედნიდან ჩვენ მიერ.

1. ლექსი „La cucitrice“ / „მკერავი“ კრებულ „იალღუნებიდან“:

L'alba per la valle nera
sparpagliò le greggi bianche:
tornano ora nella sera
e s'arrampicano stanche:
una stella le conduce.

Torna via dalla maestra
la covata, e passa lenta:
c'è del biondo alla finestra
tra un basilico e una menta:
è Maria che cuce e cuce.

Per chi cuci e per che cosa?
un lenzuolo? un bianco velo?
Tutto il cielo è color rosa,
rosa e oro, e tutto il cielo
sulla testa le riluce.

Alza gli occhi dal lavoro:
una lagrima? un sorriso?
Sotto il cielo rosa e oro,
chini gli occhi, chino il viso,
ella cuce, cuce, cuce.

(Pascoli, 2000, გვ. 133-134)

ცისკარმა ბინდიან ველზე მიმოფანტა თეთრი ფარა. ახლა, საღამოს, დაღლილი ბრუნდება ფარა, ნელ-ნელა ამოდის მაღლა, ერთი ვარსკვლავი მოუძღვის მას. მასწავლებლისგან¹ შინ ბრუნდებიან ბავშვები, ნელა მოდიან. სარკმელთან, რეჰანსა და პიტნას შორის, ქერა თმები მოჩანს – ეს მარიაა, კერავს და კერავს. ვისთვის და რისთვის კერავ? თეთრეულს? თეთრ თავსაბურველს? მთელი ცა ვარდისფერია, ვარდისფერი და ოქროსფერი და მთელი ცა თავზე დაჰნათის მარიას. თვალებს მაღლა ასწევს, სამუშაოს მოსწყვეტს – ცრემლი? ღიმილი? თვალდახრილი,

¹ ან „მარაგზაზე“.

მზერადახრილი მარია ვარდისფერი და ოქროსფერი ცის
ფონზე კერავს, კერავს, კერავს.

ლექსში დახატულია სადამო ხანი სოფელში: შარაგზაზე მოჩანს,
როგორ ბრუნდება გამთენიისას გარეკილი ფარა. მათ ერთი ვარსკვლა-
ვი უჩვენებს გზას. სკოლიდან წიწილებივით შინ ბრუნდებიან პატარა
ბავშვებიც. ქერათმიანი მარია სარკმელთან ზის და თეთრეულსა თუ
თეთრ თავსაბურველს კერავს. ლექსის ფინალური სტროფი ორაზრო-
ვანია: მარია მხოლოდ ცოტა ხნით თუ აწევს თავს და ცრემლი თუ ღი-
მილი ეტყობა სახეზე.

ლექსი საგრძნობლად ეხმიანება საფოს ორ ფრაგმენტს. კერძოდ,
უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „მკერავის“ საწყისი შვიდი
სტრიქონი გვახსენებს ძველი ბერძენი პოეტის 104-ე ა ფრაგმენტს:¹

Ἐσπερε πάντα φέρων ὅσα φαίνουσιν ἐκκέδαι Ἀῖωα,
φέρεις δ' ὦν, φέρεις αἶψα, φέρεις ἄπυ μᾶτερι παῖδα²

მწუხრის ვარსკვლავო (ჰესპეროს), უკან მოგყავს, რაც
კი სინათლისმფენმა ცისკარმა გაფანტა,
უკან მოგყავს ცხვრები, უკან მოგყავს თხები, უკან,
დედასთან, მოგყავს შვილი.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საფოსეული ფრაგმენტის მეორე
სტრიქონის ბოლო ნაწილის აღდგენა დედანში და მისი გაგება.³ ხში-
რად მას შემდეგნაირად თარგმნიან: „... დედისგან კი მიგყავს ქალი-
შვილი“.⁴ ამ ინტერპრეტაციისას იგულისხმება ქალიშვილის გათხოვე-
ბა, სიძის მიერ მისი წაყვანა მშობლების სახლიდან საკუთარ სახლში.⁵
ამ შემთხვევაში საფოს ფრაგმენტს ხშირად ადარებენ კატულუსის

¹ Pascoli 1978: 36; Pascoli 2000: 35-36.

² Sapph. ფრ. 104a (Neri).

³ ტექსტის კრიტიკული აპარატისთვის იხ. Neri 2021: 241-242.

⁴ პასაჟის იმგვარი გაგებისათვის, რომ სადამოს შვილი დედასთან მოჰყავს, იხ., მაგა-
ლითად, Haines 1926: 157, ფრ. 129; Segal 1996: 68; Carson 2003: 213; Sandin 2014: 228.
საპირისპირო გაგებისათვის, იხ., მაგალითად, Aloni 1997: 185; Ferrari 2007: 117;
McEvilly 2008: 208; Schleiser 2018: 107-108; Neri 2021: 463, 774-775. საკითხის
მიმოხილვისთვის იხ. Sandin 2014: 232-236.

⁵ საფოს ეპიტალამიოსების, საქორწინო სიმღერების, შესახებ იხ. Haines 1926: 150-153;
Ferrari 2007: 114-128.

სამოცდამეორე ლექსს, რომელიც საქორწინო თემატიკისაა.¹ იგი ანტი-ფონური სიმღერის ფორმით არის დაწერილი, ბიჭების (iuvenes) გუნდი იწყებს, გოგონების (innuptae) კი პასუხობს.² ერთ-ერთ პასაჟში გოგონათა გუნდი მთიებს მიმართავს, თუ რა დაუნდობელი ვარსკვლავია იგი, რადგან მას შეუძლია, ჩახუტებული ქალიშვილი მოსტაცოს დედას და ბიჭს მისცეს:

Hespere, qui caelo fertur crudelior ignis?
Qui natam possis complexu auellere matris,
Complexu matris retinentem auellere natam
Et iuueni ardenti castam donare puellam.³

მწუხრის ვარსკვლავო, შენზე უფრო დაუნდობელი
რომელი ვარსკვლავი მოძრაობს ცაში?
რომელსაც შეგიძლია დედის ჩახუტებას გამოსტაცო
ქალიშვილი,
მჭიდროდ ჩაკრული ქალიშვილი გამოსტაცო დედის
ჩახუტებას
და გულანთებულ ახალგაზრდას მისცე უბიწო
ასული.

პასკოლი საფოს ზემოთ მოხმობილ ფრაგმენტს იცნობდა. მის მიერ შედგენილი და პირველად 1895 წელს გამოცემული რომაელი მწერლების ანთოლოგია „Lyra romana“-ს შესავალში პოეტს მოჰყავს აღნიშნული ფრაგმენტის საკუთარი თარგმანი. საინტერესოა, რომ საფოს სტრიქონებს პასკოლი იტალიურად თარგმნის მეორე ინტერპრეტაციით, რომლის მიხედვითაც, მთიებს გოგონა დედის სახლიდან მიჰყავს: „Espero, tu porti quanto disperse l’aurora, porti l’agnella, porti la capra, porti alla madre la figlia via“ / „მთიებო, შენ მოგყავს ყოველივე, რაც გარიჟრაჟმა გაფანტა, მოგყავს ცხვრები, მოგყავს თხები, დედისგან მიგყავს ქალიშვილი“.⁴ ამავე ანთოლოგიაში ჰორაციუსის ერთ-ერთი ლექსის პასაჟს, სადაც მზის ჩასვლა და ხარებისთვის უღლის მოხსნაა ნახსენები (Hor. C. 3.6.41-42), პასკოლი შენიშვნას ურთავს: „In Sapph. 95, Hesperos riconduce a casa tutto ciò che disperse l’Aurora“ / „საფოს 95-ე ფრაგმენტში

¹ იხ. Nagy 1996: 54; Ferrari 2007: 117-118.

² დაწვრილებით იხ. Fo 2018: 734-740.

³ Cat. 62.20-23.

⁴ Pascoli 1895: XXVI.

ჰესპეროსს შინ მოჰყავს ყოველი, რაც კი რიჟრაჟმა გაფანტა“.¹ ოთხი წლის შემდეგ, 1899 წელს, გამოვიდა „Lyra romana“-ს მეორე გამოცემა. ამჯერად მას უბრალოდ „Lyra“ ერქვა. ჩვენთვის საგულისხმო ის გარემოებაა, რომ მეორე გამოცემაში პასკოლის საფოსტო ფრაგმენტი გაუაზრებია უკვე სხვაგვარად, პირველი ინტერპრეტაციით, რომლის მიხედვითაც, სალამოს ვარსკვლავს შვილი დედასთან მოჰყავს: „Espero, tu porti quanto disperse l'aurora, porti l'agnella, porti la capra, riporti alla madre il suo ragazzo“ / „მთიებო, შენ მოგყავს ყოველივე, რაც გარიჟრაჟმა გაფანტა, მოგყავს ცხვრები, მოგყავს თხები, დედასთან მოგყავს ბიჭი“.² ეს ინტერპრეტაცია დატოვა პასკოლიმ ანთოლოგიის შემდგომ გამოცემებშიც. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექსი „მკერავი“ პოეტმა პირველად გამოაქვეყნა ლიტერატურულ ჟურნალ „მარძოკოს“ 15 მარტის ნომერში 1896 წელს, ანუ „Lyra romana“-ს პირველ გამოცემაზე მუშაობიდან ძალიან მალე და, ცხადია, თარგნილი საფოსტო ლექსები მას, სულ მცირე, ქვეცნობიერად მაინც ემახსოვრებოდა.

„მკერავის“ დასაწყისის კავშირი საფოსტო ზემოთ მოხმობილ სტრიქონებთან ნათელს ხდის, რომ ლექსში ნახსენები ერთი ვარსკვლავი („una stella“) მწუხრის ვარსკვლავია, მთიები, ხარიპარია, რომლისადმი მიმართვითაც იწყება საფოსტო ფრაგმენტი („Εσπερε“).

ჩანს, კავშირი საფოსტო პოეზიასთან მხოლოდ ამით არ ამოიწურება და ლექსის მთავარი სათქმელის დონეზეც უნდა ვლინდებოდეს. რაზეა ლექსი – უბრალოდ სოფლის სალამოს აღწერაა თუ პოეტის გარკვეულ გულისნადებს, სურვილს, ფიქრს მალავს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი გადავავლოთ პასკოლის ცხოვრებისეულ დეტალებს: მწერლის დები იდა და მარია 1885 წლიდან მასთან ცხოვრობდნენ. 1895 წლის სექტემბერს იდა გათხოვდა და მას შემდეგ ერთად ცხოვრობდნენ ჯოვანი და მარია, რომელიც არასდროს არ გათხოვილა.

¹ Pascoli 1895: 245. პასკოლი სარგებლობდა საფოსტო ფრაგმენტთა თეოდორ ბერგკისეული ნუმერაციით. გერმანელი მეცნიერის გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ოთხმოცდამეოთხუთმეტეა.

² Pascoli 1899: XXV. პასკოლიმ მეორე გამოცემაში ძველბერძნული სიტყვა „παῖς“ რატომღაც „ბიჭად“ თარგმნა. ამის შესაძლო ახსნა (იხ. Belponer 2010: 29-30; Piantanida 2021: 49) ამჯერად ჩვენთვის საინტერესო გარემოებებს არ უკავშირდება. აღნიშნული ძველბერძნული სიტყვა ნიშნავს „შვილს, ბავშვს“, თუმცა ბევრი მეცნიერი ფრაგმენტს ეპიტალამიოსის ნაწილად მიიჩნევს და, შესაბამისად, ვარაუდობს, რომ საფოსტო ლექსში ქალიშვილს, გოგოს გულისხმობდა.

1895 წლის მაისში იდას დანიშვნის შემდეგ მწერალი მარიას გათხოვებაზე იწყებს ფიქრს. აი, რას სწერს იგი ამავე წლის 7 ივნისს მარიას:

... Ma, o mia Mariù, bada bene: tu devi andare a nozze anche tu. ... Tu non hai che volere! Sei bellina, seducente! Nella nostra Romagna, tutti, ti avrebbero preso e ti prenderebbero! (Pascoli, 1961, გვ. 429)

... მაგრამ, ჩემო მარიუ, კარგად შეხედე: შენც უნდა გათხოვდე. ... საკმარისია, ისურვო გათხოვება. ლამაზი ხარ, მომხიბლავი. ჩვენს რომანიაში ადრეც ყველა შეგირთავდა და ახლაც ყველა შეგირთავს ცოლად.

1896 წლის დასაწყისში მწერალი ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, ამიტომ ამ ქალაქში ბინა იქირავა და მარიასთან ერთად ტოსკანის სოფელ კასტელვეკიოდან ბოლონიაში გადავიდა. თებერვლის დასაწყისში საკარნავალო არდადეგებზე ორივე შინ, კასტელვეკიოში დაბრუნდა. აი, როგორ იხსენებს ამ დღეებს მარია ძმის ბიოგრაფიაზე დაწერილ წიგნში:

Cominciarono poi quasi subito le ferie di carnevale e noi ce ne andammo a Castelvechio, sottraendoci per quei pochi giorni ai disagi e al freddo di Bologna, ma non alle nostre preoccupazioni finanziarie e alle malinconie profonde che dopo gli avvenimenti incresciosi e tristi dell'anno avanti non si erano ancora dileguate. Malinconie che non erano uguali in tutti e due; quelle di Giovannino, che ogni tanto manifestava, erano queste: che per noi era impossibile continuare a vivere così, che bisognava che ognuno si facesse la sua famiglia come avevano fatto gli altri, che non dovevamo metterci in disparte come inetti alla vita (Pascoli, 1961, გვ. 478).

მერე უმაღლეს საკარნავალო არდადეგები დაიწყო და ჩვენ კასტელვეკიოში დავბრუნდით, მცირე ხნით გავექეციით ბოლონიურ დისკომფორტსა და სიცივეს, თუმცა ვერ გავექეციოდით ჩვენს ფინანსურ პრობლემებსა და ღრმა დარდს, რომელიც წინა წლის სევდიანი და სამწუხარო მოვლენების შემდეგ ჯერაც არ გაქარწყლებულიყო. დარდი ორივეს ერთნაირი როდი გვქონდა. ჯოვანინოს დარდი,

რომელსაც ხანდახან ამჟღავნებდა, გახლდათ შემდეგი: რომ შეუძლებელი იყო, ასე ცხოვრება განგვეგრძო, რომ აუცილებელი იყო, ორივეს, სხვათა მსგავსად, ჩვენ-ჩვენი ოჯახი შეგვექმნა, რომ ოჯახის შექმნას ვერ გავემიჯნებოდით ცხოვრებისთვის შეუფერებელი ადამიანებით.

ახლა კი, რაკი უკვე გამოიკვეთა, რომ 1895-1896 წლებში პოეტი მარიას გათხოვებაზე ფიქრობდა, დავსვათ კითხვა: ლექსში ნახსენები მარია მწერლის დის სახით ხომ არ არის შთაგონებული? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარია პასკოლი, ჩანს, მართლაც ხშირად კერავდა ხოლმე და ძმასაც იგი ამ პერიოდის სხვა ლექსშიც დახატული ჰყავს მკერავად. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ერთი პასაჟი მარიას მიერ დაწერილი ძმის ბიოგრაფიიდან: 1896 წლის იანვრის ერთ დღეს, როცა ბოლონიაში პასკოლი მორიგ მნახველებს იღებდა, მათი ძალღი მაგიდის ქვეშ იწვა, თავად მარია კი კერავდა (Pascoli, 1961, გვ. 477). რაც შეეხება ამ პერიოდის სხვა ლექსს: 1895 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებულ ლექსში „Sorella“ / „და“, რომელიც მარიას ეძღვნება, პოეტი ამბობს, თუ როგორ უკერავს მას მზრუნველი და თბილ სამოსს:

Ella cuce; nell'ombra romita
non s'ode che l'ago e l'anello:
ecco, l'ago fra le agili dita
ripete, Stia caldo, sia bello!
(Pascoli, 2000, გვ. 237)

და კერავს; ჩუმ სიბნელეში მხოლოდ ნემსისა და ბეჭდის ხმა ისმის. აჰა, ნემსი მარჯვე თითებს შორის თითქოს ამბობდეს: „თბილად იყოს, ლამაზად ეცვას!“

საცნაური ხდება, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსში ნახსენები მკერავი მარიას სახე პოეტის დით, მარია პასკოლით, არის შთაგონებული, რომლის გათხოვებაზეც ზრუნავდა მწერალი ამ პერიოდში. ლექსში ნახსენები თეთრეული და თეთრი თავსაფარი ის სამზითვო თუ საქორწილო ატრიბუტიკა უნდა იყოს, რომელთა მკერავადაც პოეტს სურს, სინამდვილეშიც მალე იხილოს თავისი და. მარია პასკოლი პოეტ ძმას წარმოდგენილი ჰყავს შეყვარებულ გოგოდ, რომელიც

თეთრეულსა და თავსაფარს იმზადებს. ამ კუთხით „მკერავის“ ჩანა-
ფიქრი, იდეა გარკვეულწილად ეხმიანება საფოს სხვა, 102-ე ფრაგმენტს:

γλῦκη μᾶτερ, οὔτοι δύνάμαι κρέκην τὸν ἵστον
πόθῃαι δάμεια παῖδος βραδίαν δι' Ἀφροδίταν¹

ტკბილო დედიკო, მართლა არ შემიძლია, მისაქსელი
ვბეჭო,
რადგან ლერწამტანა აფროდიტეს გამოისობით ერთი
ბიჭის სიყვარულით ვარ შეპყრობილი.

საინტერესოა, რომ მწერალს ეს ფრაგმენტიც თარგმნილი ჰქონდა.
„Lyra romana“-ს შესავალში, საფოს პოეზიის მიმოხილვით ნაწილში,
ვკითხულობთ:

Ecco la fanciulla innamorata: “Dolce madre, no non posso
tessere questa tela, domata dall'amore d'un giovinetto, per la
molle Aphrodite” (Pascoli, 1895, გვ. XXVI).

აი, შეყვარებული გოგოც: „ტკბილო დედიკო, არა, არ
შემიძლია, მოვესოვო ეს ქსოვილი, რადგან ნაზი აფრო-
დიტეს გამოისობით ერთი ბიჭის სიყვარულით ვარ
შეპყრობილი“.

„მკერავის“ ფინალი გარკვეულწილად ორაზროვანია: მარიას
ცრემლი თუ ღიმილი ეტყობა სახეზე. ასეთივე ორაზროვანია საფოს
104-ე ა ფრაგმენტიც იმის გამო, რომ სრულად არ შემოგვრჩა და
მთლიანი კონტექსტი ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, თავად
პასკოლისთვის ის ორაზროვანი რომ იყო, ცხადია: მან ის ორივე
მნიშვნელობით თარგმნა. ღიმილს მკერავ მარიაში, ცხადია, გათხოვე-
ბაზე ფიქრი, გათხოვების სიხარული, სიყვარული უნდა იწვევდეს.
მაგრამ რით შეიძლება აიხსნას შესაძლო ცრემლი მის თვალებზე?
ცრემლსაც, სევდასაც მკერავ მარიაში, შესაძლოა, კვლავ სიყვარული
აღძრავდეს, იმაზე ფიქრი, რომ მას სახლის დატოვება მოუწევს. საფოს
ფრაგმენტშიც ხომ ასეა: საღამოს ვარსკვლავს, ერთ-ერთი ინტერპრე-
ტაციით, გოგო დედის სახლიდან სასიძოსთან მიჰყავს.

გარდა აღნიშნული შინაარსობრივი მსგავსებისა საფოს პოეზიას-
თან, საყურადღებოა ორი სტილისტური დეტალიც. საფოს ფრაგმენტი

¹ Sapph. fr. 102 (Neri).

მთიებზე შემოგვრჩა ათენელი ორატორის, დემეტრიოს ფალერონელის, ნაწარმოებში „Περὶ ἐρμηνείας“ / „სტილის შესახებ“. დემეტრიოსი საფოს ფრაგმენტს იმოწმებს იმის ნათელსაყოფად, თუ ხანდახან რა კარგად მიმართავდა ანაფორას საკუთარ პოეზიაში საფო, რა ლამაზად გამოსდიოდა მას ეს სტილისტური ხერხი: „χαριεντίζεται δὲ ποτε (ἢ Σαπφῶ) καὶ ἐξ ἀναφορᾶς ὥς ἐπὶ τοῖς Ἑσπέροις“ / „ხანდახან (საფო) ბრწყინვალედ იყენებს ანაფორასაც, როგორც, მაგალითად, ჰესპეროსის შესახებ ნათქვამ სტრიქონებში“.¹ ამ სიტყვების შემდეგ დემეტრიოსი ციტირებს საფოს ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტს და დასძენს: „καὶ γὰρ ἐνταῦθα ἡ χάρις ἐστὶν ἐκ τῆς λέξεως τῆς φέρεται ἐπὶ τὸ αὐτὸ ἀναφερομένης“ / „ამ სტრიქონების მთელი ხიბლი იმაშია, რომ მეორდება ზმნა „მოგყავს“ და ამ ზმნის ქვემდებარე ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა“.²

საფო სამჯერ იმეორებს ზმნას „φέρει“-ს („მოგყავს“ ან პირველ ორ შემთხვევაში „მოგყავს“ და მესამე შემთხვევაში „მიგყავს“), სამივე შემთხვევაში ქვემდებარე ერთი და იგივეა. საფოს ლექსში სწორედ ეს ანაფორა მოეწონა დემეტრიოს ფალერონელს და დაკარგული ლექსიდან ორი სტრიქონიც სწორედ ამის წყალობით შემოგვრჩა. ნიშანდობლივია, რომ ანაფორა პასკოლის ლექსშიც გვხვდება, ბოლო სტრიქონში:

Sotto il cielo rosa e oro,
chini gli occhi, chino il viso,
ella cuce, cuce, cuce.

ვარდისფერი და ოქროსფერი ცის ფონზე
თვალდახრილი, მზერადახრილი
მარია კერავს, კერავს, კერავს.

როგორც ვხედავთ, პასკოლი სამჯერ იმეორებს ზმნა „cuce“-ს („კერავს“). ნიშანდობლივია, რომ საფოსეული სტრიქონების ხიბლს აძლიერებს არა მხოლოდ ანაფორა,³ არამედ ალიტერაციაც (φέρειαι, φαίνουσιν, φέριαι). ალიტერაციის მნიშვნელობა მით უფრო ხაზგასასმელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საფო უაღრესად იშვიათ ზედსართავს ირჩევს საღამოს ვარსკვლავის დასახასიათებლად. სიტყვა „φαίνουσιν“ / „სინათლისმფენი“ ძველბერძნულ მხატვრულ მწერლობაში დასტურდება მხოლოდ სამჯერ: საფოს აღნიშნულ ფრაგმენტში, თანადროულ

¹ Demetr. *Eloc.* 141.

² Demetr. *Eloc.* 141.

³ შდრ. Tedeschi 2015: 3.

ფსევდო-ჰომეროსისეულ ჰიმნში დემეტრესადმი (*h.Cer.* 51) და საუკუნეების შემდეგ მოსქოსთან (*Mosch.* 4.121).¹ საფოს არჩევანი შეპირობებული ჩანს იმიტ, რომ „ფ“ თანხმოვანი „ფჳჳ“-ისა და „ფჳჳ“-ის გარდა სხვა სიტყვის დასაწყისშიც გაისმას. ახლა დავუკვირდეთ კვლავ პასკოლისეულ ანაფორას. ძნელია იმის თქმა, ამას ნებით აკეთებს იტალიელი პოეტი თუ უნებლიეთ, მაგრამ ფაქტია: „მკერავის“ ბოლო სტროფის ხიზლს ანაფორასთან ერთად „კ“ თანხმოვნის ალიტერაციაც აძლიერებს (*chini, occhi, chino, cuce*).

2. მადრიგალი „*O reginella*“ / „ო, მეფის ასულო“ კრებულ „იალღუნებიდან“: პოეტი ხატავს სურათს, საპატარძლო სამზადისისას გოგონას როგორ გაურეცხავს სამზითვო სამოსი და გასაშრობად გაუფენია. ბოლო სტროფში პოეტი აღნიშნავს, რომ ბედნიერი არიან საპატარძლოს მშობლები, ბედნიერი არიან მისი ძმები და რომ კიდევ უფრო ბედნიერია ის, ვინც ცოლად შეირთავს მას და საკუთარ სახლში წაიყვანს:

Non trasandata ti creò per vero
la cara madre: tal, lungo la via,
tela albeggia, onde godi in tuo pensiero:

presso è la festa, e ognuno a te domanda
candidi i lini, poi che in tua balla
è il cassone odorato di lavanda.

Felici i vecchi tuoi; felici ancora
i tuoi fratelli; e più, quando a te piaccia,
chi sua ti porti nella sua dimora,
o reginella dalle bianche braccia.

(Pascoli, 2000, გვ. 200)

მოუწესრიგებელი მართლაც არ შეუქმნიხარ ძვირფას დედას: სუფთა თეთრეული თეთრად ფრიალებს და შრება მზეზე ქუჩის გასწვრივ და შენც იქვე სასიამოვნო ფიქრებში ხარ გართული: მალე წვეულებაა და ყველა შენგან ითხოვს ქათქათა სამოსს, რადგან შენს განკარგულებაშია ლავანდის სურნელიანი სკივრი. ნეტარი არიან შენი მშობლები, ნეტარი არიან

¹ შდრ. Neri 2021: 35.

შენი ძმანი და უფრო მეტად ნეტარია ის, ვინც – როცა
შენ ისურვებ – თავისად გაგიხდის და საკუთარ სახ-
ლში წაგიყვანს, ო, თეთრმკლავება მეფის ასულო!

ლექსი შთაგონებულია „ოდისეის“ მეექვსე სიმღერით, კერძოდ, სამოსის გასარეცხად გამოსულ ნავსიკაასთან ოდისევსის შეხვედრის ეპიზოდით.¹ „Non trasandata ti creò per vero la cara madre“ / „დაუდევა-
რი არ შეუქმნიხარ ძვირფას დედას“ თითქოს პასუხია ათენას შეკითხ-
ვაზე ნავსიკაასადმი:

Ναυσίκαα, τί νύ σ' ᾤδε μεθήμονα γείνατο μήτηρ;
εἴματα μὲν τοι κεῖται ἀκηδέα σιγαλόνετα,
σοὶ δὲ γάμος σχεδὸν ἔστιν, ἵνα χρὴ καλὰ μὲν αὐτῇ
ἔνυσσθαι, τὰ δὲ τοῖσι παρὰσχεῖν οἷ κὲ σ' ἄγωνται.²

ნავსიკაა, ასეთი დაუდევარი რად შეგქმნა დე-
დამ? ბრწყინვალე სამოსი მივიწყებული აწყვია, არა-
და მოახლოებულია შენი ქორწილი, როდესაც ლამა-
ზი სამოსი უნდა შეიმოსო და მათაც ლამაზი სამოსი
მისცე, ვინც გაგაცილებს.

ლექსის მეორე სტროფის „presso è la festa“ / „მაღლე წვეულებაა“
გვაგონებს ათენას სიტყვებს ნავსიკაასადმი: „σοὶ δὲ γάμος σχεδὸν ἔστιν“
/ „მაღლე შენი ქორწილია“. ამავე სტროფში ნათქვამია, რომ ყველა საპა-
ტარძლოდ გამზადებული გოგონასაგან ელის გარეცხილ და სუფთა
სამოსს, რაც გვახსენებს, ნავსიკაას სიტყვებს მამისადმი, როდესაც იგი
მშობელს ეუბნება, რომ მას ხუთი ძე ჰყავს, რომელთაგან სამს ჯერ ცო-
ლი არ მოუყვანია და რომ ამ სამთ სულ ახალგარეცხილი ტანსაცმლით
სურთ საცეკვაოდ წასვლა. ნავსიკაა დასძენს, რომ ძმების სამოსის გა-
რეცხვაზე იგი ზრუნავს („οἱ δ' αἰεὶ ἐθέλουσι νεόπλυτα εἴματ' εἶχοντες /
ἐς χορὸν ἐρχεσθαι· τὰ δ' ἐμῇ φρενὶ πάντα μέμνηεν“³).

ლექსის ბოლო სტროფი თითქოს თავისუფალი თარგმანია ოდი-
სევსის სიტყვებისა მისი დანახვით გაცელებული ნავსიკაასადმი:

τρίς μάκαρες μὲν σοί γε πατὴρ καὶ πότνια μήτηρ,
τρίς μάκαρες δὲ κασίγνητοι·

¹ Zilliacus 1909: 6-8; Vischi 1911: 102.

² Hom. *Od.* 6.25-28.

³ Hom. *Od.* 6.64-65.

...

κεῖνος δ' αὖ περὶ κῆρι μακάρτατος ἔξοχον ἄλλων,
ὃς κέ σ' ἐδνοισι βρῖσας οἴκονδ' ἀγᾶγηται.¹

სამგზის კურთხეული არიან მამაშენი და დიდებული დედაშენი, სამგზის კურთხეული არიან შენი და-ძმანი. ... მაგრამ გულით ყველაზე მეტად კურთხეულია ის, ვინც, ძღვენით აღვსილი, საკუთარ სახლში წაგიყვანს შენ.

„cara madre“ შეესატყვისება ჰომეროსისეულ „φίλη μήτηρ“-ს, „godì in tuo pensiero“ გვახსენებს ჰომეროსისეულ ფორმულას „γῆθεῖν ἀνδάνειν θυσᾶ“, ხოლო „dalle bianche braccia“ უბრალოდ თარგმანია ეპითეტისა „λευκᾶλεος“, რომლითაც ჰომეროსი ძირითადად ჰერას, თუმცა რამდენჯერმე ნავსიკაასაც ახასიათებს.²

ზემოთ განხილული ორი ლექსის შემთხვევაში პასკოლის მიერ ანტიკური მწერლობით სარგებლობა განსხვავებულია. „მკერავში“ მეტად შეინიშნება ქვეცნობიერი შთაგონება, იდეით სარგებლობა. ძნელია, იგივე ითქვას მეორე ლექსზე, სადაც მწერალი მთლიან წინადადებასაც კი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს.

ამგვარი შედარებები, ანტიკური პოეზიის შეფარულ გავლენათა დანახვა ამდიდრებს თანამედროვე მკითხველის ცნობიერებას. არ ვგულისხმობთ მხოლოდ XVIII-XIX საუკუნის მწერალთა მემკვიდრეობას (ამ შემთხვევაში ჯოვანი პასკოლისას). პოეზია მწერლის შინაგანი ხმაა და თვით ანტიკური შემოქმედების ნიმუშთა ახლებური კუთხით წასაკითხადაც აქვს ზემოთქმულს მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aloni, Antonio (ed.). (1997). *Saffo: Frammenti*. Firenze: Giunti.
Belponer, Maria. (2010). *La Lyra di Giovanni Pascoli. Storia, fisionomia e ruolo di un'antologia scolastica*. PhD dissertation, Università Ca' Foscari Venezia.
Carson, Anne. (2003). *If Not, Winter: Fragments of Sappho*. New York: Vintage Books.
Ferrari, Franco. (2007). *Una mitra per Kleis: Saffo e il suo pubblico*. Pisa: Giardini.
Fo, Alessandro. (2018). *Gaio Valerio Catullo: Le poesie*. Torino: Einaudi.
Haines, C. R. (1926). *Sappho: The Poems and Fragments*. London: Routledge & Sons.

¹ Hom. *Od.* 6.154-155, 158-159.

² Hom. *Od.* 6.101, 186, 239, 251.

- McEvelley, Thomas. (2008). *Sappho*. Putnam, Connecticut: Spring Publications.
- Nagy, Gregory. (1996). "Phaethon, Sappho's Phaon, and the White Rock of Leukas: "Reading" the Symbols of Greek Lyric." In *Reading Sappho: Contemporary Approaches*, edited by Ellen Greene, 35-57. Berkley: University of California Press.
- Neri, Camillo (ed.). (2021). *Saffo, testimonianze e frammenti: Introduzione, testo critico, traduzione e commento*. Berlin: De Gruyter.
- Pascoli, Giovanni. (1895). *Lyra romana ad uso delle scuole classiche*. Livorno: Giusti.
- Pascoli, Giovanni. (1899). *Lyra*. 2^a edizione di "Lyra romana". Livorno: Giusti.
- Pascoli, Giovanni. (1978). *Myrica*. A cura di Giuseppe Nava. Roma: Salerno.
- Pascoli, Giovanni. (2000). *Myrica*. Introduzione di Pier Vincenzo Mengaldo, note di Franco Melotti. Milano: Rizzoli.
- Pascoli, Maria. (1961). *Lungo la vita di Giovanni Pascoli*. Memorie curate e integrate da Augusto Vicinelli. Milano: Mondadori.
- Piantanida, Cecilia. (2021). *Sappho and Catullus in Twentieth-Century Italian and North American Poetry*. London: Bloomsbury.
- Sandin, Pär. (2014). "Verbal Repetition in Sappho: Two Wedding Song Fragments (114, 104a V.): With Notes on ἀναφορά and the Text and Translation of Demetr. *Eloc.* 141 and 268." *Hermes* 142, 225-239.
- Schleiser, Renate. (2018). "Sappho bei Nacht." In *La nuit: Imaginaire et réalités nocturnes dans le monde gréco-romain*, edited by Angelos Chaniotis and Pascale Derron, 91-121. Vandœuvres: Fondation Hardt.
- Segal, Charles. (1996). "Eros and Incantation: Sappho and Oral Poetry." In *Reading Sappho: Contemporary Approaches*, edited by Ellen Greene, pp. 58-75. Berkley: University of California Press.
- Tedeschi, Gennaro (ed.). (2015). *Saffo: Frammenti. Antologia di versi con introduzione testo, traduzione, commenti*. Trieste: EUT.
- Vischi, Luciano. (1911). "Reminiscenze e imitazioni nella letteratura italiana durante la seconda metà del sec. XIX". *La critica: rivista di letteratura, storia e filosofia* 9, 100-107.
- Zilliaceus, Emil. (1909). *Giovanni Pascoli et l'antiquité : étude de littérature comparée*. Helsingfors: Imprimerie Centrale de Helsingfors.